

სამოქალაქო
განვითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

*„ თვითრეგულაციის სისტემის ამოქმედება ბავშვის
საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქებისთვის“*

ანგარიში: 1 სექტემბერი-15 დეკემბერი

პროექტი „თვითრეგულაციის სისტემის ამოქმედება ბავშვის საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქებისთვის“

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, 2011 წლის 1 სექტემბრიდან 15 დეკემბრამდე განაახორციელა პროექტი „თვითრეგულაციის სისტემის ამოქმედება ბავშვის საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქებისთვის“.

პროექტის ფარგლებში შედგა სამი შეხვედრა რეგიონული მუწყებლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ქუთაისში, ბათუმსა და სიღნაღში. სამივე შეხვედრას ესწრებოდნენ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენლები ია ანთაძე და გიორგი ჯოლოგუა, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი მაია ქურციკიძე და მედია ექსპერტები გოგი გვახარია და ნინია კაკაბაძე.

1. შეხვედრები რეგიონებში

პირველი შეხვედრა გაიმართა ქალაქ ქუთაისში 2011 წლის 1 ნოემბერს. შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები:

„თეთრი რადიო“ – ქუთაისი;
ტელეკომპანია „რიონი“ – ქუთაისი;
ტელეკომპანია „მეგა-ტვ“ – ხონი;
ტელეკომპანია „არგო“ – ზესტაფონი;
ტელე-რადიო კომპანია „ზარი“ – სამტრედია;
რადიო „ძველი ქალაქი“ – ქუთაისი;
ტელეკომპანიების „იმედი“ და „საზოგადოებრივი მუწყებელი“ რეგიონული ბიუროები; გაზეთი „P.S.“.

შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ საქართველოს რეგიონულ მუწყებელთა ასოციაციისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

მეორე შეხვედრა გაიმართა ბათუმის პრეს-კაფეში 2011 წლის 2 ნოემბერს. შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები:

„გაზეთი ბათუმელები“ – ბათუმი;
„ტელეარხი 25“ – ბათუმი;

ტელეკომპანია „გურია“ – ოზურგეთი;
ტელეკომპანია „მეცხრე ტალღა“ – ფოთი;
რადიო „თავისუფლების“, ტელეკომპანიების „მაესტრო“, „იმედი“ და „საზოგადოებრივი მუწყებელი“ – ადგილობრივი ბიუროები.

პროექტი „თვითრეგულაციის სისტემის ამოქმედება ბავშვის საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქებისთვის“

შეხვედრაზე ასევე მონაწილეობა იყვნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები: „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლი“, „საია“ (აჭარის ფილიალი), „სამოქალაქო საზოგადოება ადამიანის უფლებებისთვის“, სახალხო დამცველის აპარატი, „სთეფ ფორვარდი“, „საერთაშორისო განათლების ცენტრი“; ასევე, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტები.

მესამე შეხვედრა გაიმართა ქალაქ სიღნაღში 2011 წლის 8 ნოემბერს. შეხვედრას ესწრებოდნენ შემდეგი მედიაორგანიზაციების წარმომადგენლები:

ტელეკომპანია „გურჯაანი“ – გურჯაანი;
ტელეკომპანია „თანამგზავრი“ – თელავი;
რადიო „ჰერეთი“ – ლაგოდეხი;
კახეთის საინფორმაციო ცენტრი.

სამივე შეხვედრაზე, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლებმა მონაწილე სტუმრებს გააცნეს პროექტის შინაარსი და განუმარტეს ის ხარვეზები, რომლებიც არსებობს ეროვნულ მედიაში არასრულწლოვანთა თემების გაშუქებასთან დაკავშირებით. გაშუქების ხარვეზებთან ერთად, განხილული იქნა ის პრობლემები, რომლებსაც ჟურნალისტები აწყდებიან არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას და ასევე გზები, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემების გადალახვა.

მედია ექსპერტებმა გოგი გვახარიაშვილი და ნინია კაკაბაძემ მონაწილე სტუმრებს უჩვენეს ეროვნულ ტელეარხებზე სხვადასხვა დროს გასული რეპორტაჟები, რასაც მოჰყვა ამ რეპორტაჟების სიღრმისეული განხილვა, შეცდომების იდენტიფიკაცია და მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომზადდეს რეპორტაჟები არასრულწლოვანთა უფლებებისა და მედიის სტანდარტის დაცვით.

სამივე შეხვედრაზე განხილული იქნა ის ხარვეზები, რომელიც ხელს უშლის მედიის თვითრეგულაციის სისტემის ეფექტიან მუშაობას. სამოქალაქო განვითარების

ინსტიტუტის და გაეროს ბავშვთა განვითარების ფონდის წარმომადგენლებმა შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს CDI-ს მიერ ინიცირებული ცვლილების პროექტი „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“. ცვლილების თანახმად, ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებზე „დაინტერესებულ მხარედ“ უნდა იქნას აღიარებული ის არასამთავრობო

პროექტი „თვითრეგულაციის სისტემის ამოქმედება ბავშვის საკითხების პროფესიული და ეთიკური გაშუქებისთვის“

ორგანიზაციები, რომლებიც წესდების თანახმად იცავენ ბავშვების უფლებებს და ინტერესებს. ეს ცვლილება გაზრდის მაუწყებელთა თვითრეგულირების სისტემების ეფექტიანობას და ხელს შეუწყობს როგორც უურნალისტების, ასევე მთლიანად საზოგადოების ჩართულობას არასრულწლოვანთა გაშუქების სტანდარტის ამოქმედების პროცესში.

2. შეხვედრა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში

რეგიონული შეხვედრების შემდეგ სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის წარმომადგენელი ია ანთაძე შეხვდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის სამართლებრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს კახი ყურაშვილს და გააცნო მას რეგიონულ მაუწყებელთა თანხმობა კოდექსში ცვლილებასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ მაუწყებელთა ქცევის კოდექსში ცვლილების შეტანა სწორედ კომუნიკაციების ეროვნული კომისიის პრეროგატივაა, შეხვედრაზე შედგა შეთანხმება პროცედურულ საკითხებზე.

3. პროექტის შედეგები

ა) რეგიონული მაუწყებლების ხელმძღვანელებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ ინიცირებულ ცვლილებას „მაუწყებელთა ქცევის კოდექსში“.

ბ) რეგიონული მედიისა და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით განიხილეს ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს პროფესიული სტანდარტის დარღვევის შემთხვევები და ამ დარღვევებით გამოწვეული შესაძლო ზიანი. კონკრეტული შეცდომების დეტალური

განხილვა შეუასდა, როგორც სამომავლო დარღვევების თავიდან აცილების საუკეთესო წინაპირობა.

გ) რეგიონულ მედიის ხელმძღვანელებს შორის ჩამოყალიბდა საერთო მოსაზრება, რომ ბავშვის საკითხების გაშუქება არ შეიძლება იყოს სკანდალის თემა და რომ ბავშვის თემებზე მუშაობისას აუცილებელია განსაკუთრებული სიფრთხილე და ყურადღება სტანდარტის დაცვის კუთხით.

დ) კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში საბოლოოდ შეთანხმდა პროცედურები, რომლებიც აუცილებელია მაუწყებელთა ქცევის კოდექსში ცვლილების შესატანად.